

ომარ მთივლიშვილი¹

პოსტ-კონფლიქტური სამართალი (*Jus Post Bellum*) – განსაზღვრული მოქმედების ფარგლების მქონე სამართლებრივი წესრიგი შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ

აბსტრაქტი

შესაძლებელია თუ არა პოსტ-კონფლიქტური სამართლის ამოქმედებისა და მოქმედების დასრულების ზუსტი დროის განსაზღვრა? როგორ იმიჯნება ერთმანეთისგან გარდამავალი მართლმსაჯულება და პოსტ-კონფლიქტური სამართალი? რამდენად მისაღებია პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთი და იმავე სამოქმედო ჩარჩოს გამოყენება საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ? რა ძირითადი პრობლემის წინაშე დგება პოსტ-კონფლიქტური სამართალი სამხედრო ოკუპაციის დასრულებისას? – სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არის წინამდებარე სტატიის მთავარი ამოცანა. ამ უკანასკნელის შესასრულებლად კი წარმოდგენილია მსჯელობა საერთაშორისო სამართლისთვის აქტუალურ შემდეგ თემებზე: საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და პოსტ-კონფლიქტურ სამართალს შორის ზღვრის გავლებაზე – პოსტ-კონფლიქტური სამართლის ამოქმედების მომენტის განსაზღვრის კონტექსტში; ტერმინ „მშვიდობის“ განმარტებასა და პოსტ-კონფლიქტური სამართლის ძირითადი პრინციპების მიერ დასახული მიზნების ერთბაშად მიღწევასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე – პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების დასრულების მომენტის განსაზღვრის კონტექსტში; გარდამავალი მართლმსაჯულების ცნებაზე, სამართლებრივ დატვირთვასა და ინტერესის სფეროზე – აღნიშნული დოქტრინის პოსტ-კონფლიქტური სამართლისგან გამიჯვნის კონტექსტში; შეიარაღებული კონფლიქტის ტიპის მიუხედავად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ სამოქალაქო მოსახლეობის ერთი და იმავე სტანდარტით დაცვაზე, სამხედრო დამნაშავეების მიმართ პასუხისმგებლობის იდენტურად დაკისრებაზე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ერთგვაროვან მოქმედებასა და პოსტ-კონფლიქტური სამართლის ძირითადი პრინციპების აღსრულებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ერთნაირ ჩართულობაზე – ორივე სახის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ ერთნაირად გამოსაყენებელი პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთიანი ჩარჩოს ჩამოყალიბების კონტექსტში; სამხედრო ოკუპაციის

¹ ომარ მთივლიშვილი – საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. ელ. ფოსტა: omarimtivlishvili@gmail.com.

პერიოდში ოკუპანტ და ოკუპირებულ მხარეთა შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე – პოსტ-ოკუპაციური სამართლებრივი წესრიგის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: პოსტ-კონფლიქტური სამართალი, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, სამხედრო ოკუპაცია, საზავო შეთანხმება, სამშვიდობო შეთანხმება, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, კაპიტულაცია, გარდამავალი მართლმსაჯულება, პოსტ-ოკუპაციური სამართლებრივი წესრიგი.

შესავალი

პოსტ-კონფლიქტური სამართალი თავისი ძირითადი ამოცანის შესრულებისას, კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებისა და მშვიდობის დამყარება-შენარჩუნების პროცესში, მრავალ მორალურ, სამართლებრივ და პრაქტიკულ გამოწვევას ხვდება. არაერთი პრობლემური ასპექტით ხასიათდება თავად მისი, როგორც გარკვეული სამართლებრივი წესრიგის, მოქმედების დაწყებისა და დასრულების მომენტების განსაზღვრაც. პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ფარგლების შესახებ მსჯელობისას, გარდა იმისა, რომ უნდა დაისვას კითხვა, თუ როდის იწყებს და ასრულებს იგი მოქმედებას, ასევე აუცილებელია მისი გამიჯვნა გარდამავალი მართლმსაჯულების დოქტრინისაგან, ვინაიდან მათ შორის მრავალი საერთო მახასიათებელი იკვეთება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკვე არსებობს გარკვეული თეორიები, ერთი მხრივ, პოსტ-კონფლიქტური სამართლის ისეთი ჩარჩოსა და მიდგომების შემუშავებაზე, რომლის გამოყენებაც ერთნაირად იქნება შესაძლებელი ოკუპაციის გარეშე წარმართული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისა და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ, ხოლო, მეორე მხრივ, ოკუპაციის თანმხლებით მიმდინარე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ ყოფილ ოკუპანტ მხარესა და ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის არსებული ურთიერთობის პრობლემურ ხასიათზე.

განსაზღვრული მოქმედების ფარგლების მქონე სამართლებრივ წესრიგად პოსტ-კონფლიქტური სამართლის განხილვისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ის, რომ მიუხედავად მზარდი საჭიროებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს კონკრეტული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებს ერთიან ჩარჩოში მოაქცევს. ამასთან, აღნიშნული თემატიკა მეტად ახალიცაა და საჭიროებს აკადემიურ დონეზე დამუშავებას.

წინამდებარე სტატიის მიზანია პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ფარგლებისა და შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ძირითადი მახასიათებლების განხილვა, რის გამოც იგი დაყოფილია შემდეგ ორ თავად: პირველ თავში წარმოდგენილია მსჯელობა როგორც

პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ვადების, ისე მისი და გარდამავალი მართლმსაჯულების მოქმედებათა გამიჯვნის თაობაზე; მეორე თავში კი საუბარია პოსტ-კონფლიქტური სამართლის არსებით მახასიათებლებზე მისი წინმსწრები შეიარაღებული კონფლიქტის გათვალისწინებით.

თავი 1. პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ფარგლები

1.1. პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ვადები

1.1.1. როდის იწყება პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედება? – *JUS IN BELLO* v. *JUS POST BELLUM*

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, პოსტ-კონფლიქტური სამართალი მოქმედებას იწყებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების შეწყვეტისთანავე,² რაც განსხვავებულად მიიღწევა, სამხედრო ოკუპაციის გარეშე წარმართული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის, მისი თანხლებით წარმართული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისა და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევებში.

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, „მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, „საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, „სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ“ და „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტო კონვენციების (შემდგომში – ჟენევის 1949 წლის კონვენციები) საერთო მე-2 მუხლის თანახმად, შეიძლება წარმოიშვა ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის.³ ამასთან, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (შემდგომში – ICTY) მიერ *ტადიჩის* საქმეში განიმარტა, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი გულისხმობს „სახელმწიფოთა შორის ძალის გამოყენებას.“⁴ პრაქტიკაში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პოსტ-კონფლიქტური სამართლით ჩანაცვლება ხორციელდება ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა საზავო, სამშვიდობო

² *Kleffner J. K., Towards a Functional Conceptualization of the Temporal Scope of Jus Post Bellum, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 289.*

³ The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Geneva, 12 August 1949, Article 2; The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded, Sick, and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, Geneva, 12 August 1949, Article 2; The Convention Relative to the Treatment of Prisoners of War, Geneva, 12 August 1949, Article 2; The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 2.

⁴ იხ. ციტირება: *The Prosecutor v. Dusko Tadic*, [1995] Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, ICTY (IT-94-1-A), §70.

ან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმება, ან კაპიტულაციის გამოცხადება.⁵ საერთო სურათის უკეთ დასანახად, მიზანშეწონილია, თითოეული მათგანის მოკლედ მიმოხილვა.

საზავო შეთანხმება შეიძლება მიზნად ისახავდეს საომარი მოქმედებების უვადოდ შეჩერებას⁶ როგორც ყველგან, ისე მხოლოდ ცალკეულ დანაყოფებს შორის ან კონკრეტულ ტერიტორიაზე.⁷ ამდენად, განარჩევენ ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის მქონე საზავო შეთანხმებებს.⁸ ასევე, ზავის საფუძველზე საომარი მოქმედებები შეჩერდება მაშინვე, როგორც კი ამ ტიპის შეთანხმების გაფორმების თაობაზე ოფიციალურად და დროულად ეცნობებათ კომპეტენტურ უწყებებსა და სამხედრო შენაერთებს ან საზავო შეთანხმებით გათვალისწინებული დროის მომენტიდან.⁹ საზავო შეთანხმების დენონსირების საბაზი მხარეს შეიძლება მისცეს ნებისმიერმა სერიოზულმა დარღვევამ,¹⁰ იმ პირობით, რომ დაცული იქნება გაეროს წესდებით გათვალისწინებული თავდაცვის უფლების განხორციელების პირობები.¹¹ თუ საზავო შეთანხმების პირობებს კერძო პირი საკუთარი ინიციატივით დაარღვევს, დაზარალებულ მხარეს ექნება უფლება, მოითხოვოს დამნაშავეს დასჯა ან, აუცილებლობის შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურება.¹² და ბოლოს, საზავო შეთანხმებებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ზავის პირობებმა არ უნდა შექმნას ჟენევის 1949 წლის კონვენციებისგან იმდენად განსხვავებულ რეჟიმი, რომ დააზიანოს დაცულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.¹³

სამშვიდობო შეთანხმება, საზავო შეთანხმებისგან განსხვავებით, შეიარაღებული კონფლიქტის სრულად და საბოლოოდ დასრულებას

⁵ *Kleffner J. K.*, Towards a Functional Conceptualization of the Temporal Scope of Jus Post Bellum, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 290; *Kleffner J. K.*, Scope of Application of International Humanitarian Law, *The Handbook of International Humanitarian Law, Fleck D. (ed.)*, 3rd ed., Oxford, 2013, 65-70.

⁶ *Kleffner J. K.*, Scope of Application of International Humanitarian Law, *The Handbook of International Humanitarian Law, Fleck D. (ed.)*, 3rd ed., Oxford, 2013, 65.

⁷ The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 37.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, Article 38.

¹⁰ იქვე, Article 40.

¹¹ The Charter of the United Nations, San Francisco, 26 June 1945, Article 51.

¹² The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 41.

¹³ *Kleffner J. K.*, Scope of Application of International Humanitarian Law, *The Handbook of International Humanitarian Law, Fleck D. (ed.)*, 3rd ed., Oxford, 2013, 68; The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Geneva, 12 August 1949, Article 6; The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded, Sick, and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, Geneva, 12 August 1949, Article 6; The Convention Relative to the Treatment of Prisoners of War, Geneva, 12 August 1949, Article 6; The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 7.

უზრუნველყოფს.¹⁴ არსებობს სამშვიდობო შეთანხმების ორი სახე: პირველი, *strictu sensu* სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მხარე სახელმწიფოთა შორის ფორმდება წერილობითი ფორმით სახელმწიფოს მეთაურის ან საგანგებოდ უფლებამოსილი სხვა პირის მიერ, ოფიციალურად ასრულებს საომარ მდგომარეობას და აღადგენს მეგობრულ ურთიერთობას; და მეორე, ჩვეულებრივი სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მხარე სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ, ან მხოლოდ არასახელმწიფოებრივ, აქტორებს შორის ფორმდება და ოფიციალურად ასრულებს საომარ მდგომარეობას.¹⁵ სამშვიდობო შეთანხმებებით იფარება ისეთ საკითხები, როგორებიცაა: შეიარაღებული კონფლიქტის შედეგები, შეიარაღებული კონფლიქტის განმეორების პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებები და სამშვიდობო ხელშეკრულების პირობების იმპლემენტაციისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცედურული და ინსტიტუციური ასპექტები.¹⁶

რაც შეეხება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები აქტიური საბრძოლო მოქმედებების დასასრულებლად ხშირად მიმართავენ მას თანამედროვე ეპოქაში. ტერმინი „ცეცხლის შეწყვეტა“, როგორც წესი, თავად ამავე კატეგორიის შეთანხმებებშივე განიმარტება და მოიაზრებს „მხარეთა ვალდებულებას, დაასრულონ აგრესიის ყველა აქტი ხმელეთზე, ზღვაზე ან ჰაერში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც ძირს უთხრის ცეცხლის შეწყვეტის ან მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების სულისკვეთებას.“¹⁷ ამ ტიპის შეთანხმებები მოიცავს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს: სამოქმედო არეალს, შესრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს, ძალაში შესვლის თარიღს, მოქმედების ვადასა და შესასრულებელ მოქმედებათა თანმიმდევრობას.¹⁸ ამასთან, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ყველაზე ხშირად აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საომარი მოქმედებების შეჩერება ან შეწყვეტა, შეიარაღებული ძალების უკან გახმოზა, ინფორმაციის გაცვლა შეიარაღებისა და კომბატანტების შესახებ, კონფლიქტის მხარეთა შორის კომუნიკაციის არხის გახსნა, ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა და სრული ან ნაწილობრივი დემობილიზაცია, განიარაღება და რეინტეგრაცია.¹⁹

ტერმინი „კაპიტულაცია“ კი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ განიმარტება, როგორც აქტი, რომელიც აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტას

¹⁴ Kleffner J. K., Scope of Application of International Humanitarian Law, The Handbook of International Humanitarian Law, Fleck D. (ed.), 3rd ed., Oxford, 2013, 68.

¹⁵ იქვე, 69.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იხ. ციტირება: Forster R., Ceasefire Arrangements, PA-X Peace Agreement Database, Edinburgh, 2019, 2.

¹⁸ იქვე, 2-3.

¹⁹ იქვე, 3-4.

იწვევს.²⁰ ასევე, იგი ცხადდება ცალმხრივად ან შეთანხმების საფუძველზე,²¹ ხოლო, „ხმელეთზე ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ“ ჰააგის რეგულაციების (შემდგომში – ჰააგის რეგულაციები) 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მისი გამოცხადების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სამხედრო ღირსების წესები.²² განარჩევენ ნაწილობრივ (შემოიფარგლებოდეს შეიარაღებული ძალების მხოლოდ გარკვეული ნაწილით) და სრულ (ვრცელდებოდეს შეიარაღებული კონფლიქტის მხარის შეიარაღებულ ძალებზე მთლიანად) კაპიტულაციას.²³ ჰააგის რეგულაციების 35-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ის კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეთა მიერ.²⁴ კაპიტულაციის პირობების დამრღვევთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი შესაძლოა დააყენოს მოწინააღმდეგე მხარემ.²⁵

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტია.²⁶ ამ დებულებას ავსებს აღნიშნული კონვენციების „არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რომლის თანახმადაც, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოს „შეიარაღებულ ძალებსა და მთავრობის საწინაარმდეგო ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც იმყოფებიან რა პასუხისმგებელი მეთაურობის დაქვემდებარებაში, ახორციელებენ კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე ისე, რომ საშუალება აქვთ განახორციელონ უწყვეტი და შეთანხმებული საომარი მოქმედებანი.“²⁷ ამასთან, ICTY-ის მიერ *ტადიჩის* საქმეში განიმარტა, რომ არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი გულისხმობს „ერთი სახელმწიფოს შიგნით განგრძობად შეიარაღებულ ძალადობას სახელისუფლებო ძალებსა და

²⁰ Verri P., Dictionary of the International Law of Armed Conflict, Geneva, 1992, 29.

²¹ Kleffner J. K., Scope of Application of International Humanitarian Law, The Handbook of International Humanitarian Law, Fleck D. (ed.), 3rd ed., Oxford, 2013, 68.

²² The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 35(1).

²³ Verri P., Dictionary of the International Law of Armed Conflict, Geneva, 1992, 29.

²⁴ The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 35(2).

²⁵ Kleffner J. K., Scope of Application of International Humanitarian Law, The Handbook of International Humanitarian Law, Fleck D. (ed.), 3rd ed., Oxford, 2013, 68.

²⁶ The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Geneva, 12 August 1949, Article 3; The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded, Sick, and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, Geneva, 12 August 1949, Article 3; The Convention Relative to the Treatment of Prisoners of War, Geneva, 12 August 1949, Article 3; The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 3.

²⁷ იხ. ციტირება: Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, 8 June 1977, Article 1(1).

ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს შორის ან ასეთ ჯგუფებს შორის.²⁸ მეტიც, ერთი მხრივ, ICTY-ის მიერ როგორც *ტადიჩის*, ისე *ლიმაჯის*, *ბალასა* და *მუსლიუს* საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (შემდგომში – ICTR) მიერ *აკაიესუს* საქმეში, დასახელდა არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობისთვის აუცილებელი კიდეც ორი კრიტერიუმი – შეიარაღებული კონფლიქტის ინტენსიურობა და შეიარაღებული ჯგუფ(ებ)ის ორგანიზებულობა.²⁹ ICTY-მ *ბოშკოსკისა* და *ტარჩულოვსკის* საქმეში განმარტა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ინტენსიურობის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ელემენტები: თავდასხმების სერიოზულობა და შეიარაღებული შეტაკებების გახშირება; შეტაკებების გავრცელება ტერიტორიაზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში; სამთავრობო ძალების რაოდენობის ზრდა და მობილიზაცია და კონფლიქტის მხარეების იარაღით აღჭურვა; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) უშიშროების საბჭოს მხრიდან რეაგირება; საბრძოლო ზონებიდან იძულებით გადაადგილებული სამოქალაქო მოსახლეობის რაოდენობა; გამოყენებული იარაღების ტიპი; ქალების ბლოკირება ან ალყაში მოქცევა და დაბომბვა; განადგურების მასშტაბები და დაბომბვის ან ბრძოლის შედეგად გამოწვეული მსხვერპლის რაოდენობა; განლაგებული ჯარებისა და ქვედანაყოფების რაოდენობა; მხარეებს შორის ფრონტის ხაზების არსებობა და შეცვლა; ოკუპირებული ტერიტორიები; სამთავრობო ძალების განლაგება კრიზისულ ზონაში; გზების ჩაკეტვა; ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება და შეთანხმება; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მცდელობა, შუამავლობა გაუწიონ და აღასრულონ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები.³⁰ *ჰარადინაჯის* საქმეში კი ამავე ტრიბუნალის მიერ აღინიშნა, რომ შეიარაღებული ჯგუფის ორგანიზებულობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ჯგუფში სამეთაურო სტრუქტურისა და დისციპლინური წესებისა და მექანიზმების არსებობა; შტაბის არსებობა; ჯგუფის შესაძლებლობა მოიპოვოს წვდომა იარაღზე, სხვა სამხედრო აღჭურვილობაზე, ახალწვეულებსა და სამხედრო მომზადებაზე; სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელების უნარი, მათ შორის შეიარაღებული დანაყოფის გადაადგილება და ლოგისტიკა; მისი უნარი, განსაზღვროს ერთიანი სამხედრო სტრატეგია და გამოიყენოს სამხედრო ტაქტიკა; მისი უნარი, ისაუბროს ერთხმად, აწარმოოს მოლაპარაკება და დადოს ცეცხლის შეწყვეტის ან სამშვიდობო შეთანხმებები.³¹ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი სწორედ მაშინ მთავრდება, როდესაც შეიარაღებული

²⁸ იხ. ციტირება: The Prosecutor v. Dusko Tadic, [1995] Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, ICTY (IT-94-1-A), §70.

²⁹ The Prosecutor v. Dusko Tadic, [1997] Judgement of Trial Chamber, ICTY (IT-94-1-T), §562; The Prosecutor v. Fatmir Limaj, Haradin Bala, Isak Musliu, [2005] Judgement of Trial Chamber II, ICTY (IT-03-66-T), §84; Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, [1998] ICTR (ICTR-96-4-T), §620.

³⁰ The Prosecutor v. Ljube Bošković and Johan Tarčulovski, [2008] Judgement of Trial Chamber, ICTY (IT-04-82-T), §177.

³¹ The Prosecutor v. Ramush Haradinaj and others, [2008] Judgement of Trial Chamber, ICTY (IT-04-84-T), §60.

კონფლიქტის ინტენსიურობისა და მხარეთა ორგანიზებულობის კრიტერიუმები აღარ არსებობს.³²

რაც შეეხება სამხედრო ოკუპაციას, ამ ტერმინის მოცემულია ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, „ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად, თუ იგი მართლაც არის მტრის შეიარაღებული ძალების ძალაუფლების ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც დამყარებულია ოკუპანტის ძალაუფლება და მას მისი განხორციელების უნარი აქვს.“³³ ტერმინ „სამხედრო ოკუპაციის“ ამგვარი განმარტება ასევე გაიზიარა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (შემდგომში – ICJ) „ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ“ 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნაში.³⁴ ასევე, ხაზგასასმელია, რომ ჟენევის 1949 წლის კონვენციების საერთო მე-2 მუხლის თანახმად, აღნიშნული კონვენციები გამოიყენება მათი „ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევს.“³⁵ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განმარტებით, ოკუპაციის დასრულების გზა, როგორც წესი, არის ოკუპანტი სახელმწიფოს ჯარების გაყვანა ან განდევნა ოკუპირებული ტერიტორიიდან. თუმცა, შესაძლებელია უცხოური ჯარების არსებობა სულაც არ ნიშნავდეს, რომ ოკუპაცია გრძელდება. რეალურად, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის იმ უფლებამოსილების გადაცემა, რომელიც ითვალისწინებს სუვერენიტეტის სრულ და თავისუფალ განხორციელებას, ჩვეულებრივ, დაასრულებს ოკუპაციას მაშინაც კი, თუ უცხოური ჯარები კვლავაც იარსებებს ყოფილ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით.³⁶

1.1.2. როდის სრულდება პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედება?

³² *Bartels R.*, From Jus In Bello to Jus Post Bellum: When do Non-International Armed Conflicts End?, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 309.

³³ იხ. ციტირება: The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 42.

³⁴ Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, [2004] Advisory Opinion, ICJ, §78.

³⁵ The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Geneva, 12 August 1949, Article 2; The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded, Sick, and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, Geneva, 12 August 1949, Article 2; The Convention Relative to the Treatment of Prisoners of War, Geneva, 12 August 1949, Article 2; The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 2.

³⁶ Occupation and International Humanitarian Law: Questions and Answers (A Series of Questions and Answers by the International Committee of the Red Cross's Legal Team on What Defines Occupation, the Laws that Apply, How People Are Protected, and The International Committee of the Red Cross's Role), <<https://www.icrc.org/en/article/occupation-international-humanitarian-law-questions>> [30.07.2024].

პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების დასრულების მომენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით არსებობს ორი თეორია.³⁷ საკითხის ამომწურავად დაფარვის მიზნით, მიზანშეწონილია, თითოეული მათგანის მოკლედ მიმოხილვა.

პირველი თეორიის თანახმად, პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედება დასრულდება მაშინ, როდესაც იგი მიაღწევს თავისი ძირითადი პრინციპების მიერ დასახულ საერთო მიზანს – მშვიდობის დამყარებას.³⁸ თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უკანასკნელი არ შემოიფარგლება მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობით, ვინაიდან პოსტ-კონფლიქტური სამართალი შუალედური რგოლის როლს ასრულებს შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებასა და მშვიდობის დამყარებას შორის, კერძოდ, აწესრიგებს პირველის შემდგომ და მეორის წინმსწრებ ფაზას.³⁹ ამგვარი მიდგომისთვის უფრო მეტი ნათელის მოფენისათვის, უმჯობესია, განისაზღვროს ტერმინ „მშვიდობის“ არსი. თუმცა, აქ ძირითადი გამოწვევა არის ის, რომ აღნიშნული ტერმინის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლით დამკვიდრებული განმარტება არ არსებობს, რის გამოც, საჭიროა გამოჩენილ მკვლევართა მოსაზრებებსა და სხვა რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობა. პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი *ჟან კლეფნერი*, გაეროს გენერალური მდივნის 2004 წლის 23 აგვისტოს მოხსენებაზე დაყრდნობით,⁴⁰ „მშვიდობას“ განმარტავს, როგორც არაძალადობრივი სიტუაციის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და სამართლის უზენაესობის ერთობლიობას.⁴¹ ამასთან, ტერმინ „მშვიდობის“ განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ადამიანური განვითარების, დემოკრატიისა და ადამიანური უსაფრთხოების ინდექსების შემუშავებისთვის გამოყენებული ინდიკატორებიც.⁴² უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობის კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტს“, რომლის მიერაც შემუშავებულია „გლობალური მშვიდობის ინდექსი“.⁴³ აღნიშნული ინდექსი არის გლობალური მშვიდობის წამყვანი საზომი მსოფლიოში და შედგენილია მშვიდობის ტენდენციების, მისი ეკონომიკური ღირებულებისა და

³⁷ *Kleffner J. K.*, Towards a Functional Conceptualization of the Temporal Scope of Jus Post Bellum, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 293-295.

³⁸ იქვე, 293.

³⁹ იქვე.

⁴⁰ United Nations Secretary-General, The Rule of Law and Transitional Justice in Conflict and Post-Conflict Societies: Report of the Secretary-General, UN Doc. S/2004/616, 23.08.2004, §6.

⁴¹ *Kleffner J. K.*, Towards a Functional Conceptualization of the Temporal Scope of Jus Post Bellum, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 294.

⁴² იქვე; ასევე, იხ.: The Human Development Index of the United Nations Development Programme, <<http://hdr.undp.org/en/statistics/hdi/>> [30.07.2024]; The Democracy Index of the Economist Intelligence Unit, <http://www.eiu.com/public/topical_report.aspx?campaignid=DemocracyIndex12> [30.07.2024]; The Human Security Index, <<http://www.humansecurityindex.org/>> [30.07.2024].

⁴³ Institute for Economics & Peace, <<https://www.economicsandpeace.org/about/>> [30.07.2024].

მშვიდობიანი საზოგადოებების განვითარების შესახებ არსებული ყველაზე ყოვლისმომცველი მონაცემების საფუძველზე.⁴⁴ სწორედ „გლობალური მშვიდობის ინდექსის“ მიმართ მსოფლიოში არსებული სანდოობის მაღალი ხარისხი ხდის შესაძლებელს, რომ ტერმინ „მშვიდობის“ განმარტებისას მხედველობაში იქნას მიღებული ის სამი სვეტი (სოციალური დაცულობისა და უსაფრთხოების დონე, მიმდინარე საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მასშტაბი და მილიტარიზაციის ხარისხი),⁴⁵ რომლებზეც აგებულია აღნიშნული ინდექსი. ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში გაჟღერებული და პრაქტიკაში დამკვიდრებული მშვიდობის ელემენტები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც შესაძლოა ართულებდეს პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების დასრულებულად და, ამავდროულად, მშვიდობის დამყარებულად მიჩნევისთვის საჭირო ისეთი კრიტერიუმების გამოკვეთას, რომლებიც თეორიაშიც და პრაქტიკაშიც გაზიარებულია.

რაც შეეხება მეორე თეორიას, მის თანახმად, პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედება დასრულებდა მაშინ, როდესაც მისი თითოეული ძირითადი პრინციპის მიერ ინდივიდუალურად დასახული მიზნები შესრულდება. თუმცა, ამ შემთხვევაში ძირითადი გამოწვევა არის ის, რომ პოსტ-კონფლიქტური სამართლის ყოველ პრინციპს საკუთარი მიზნების მისაღწევად განსხვავებული დრო სჭირდება.⁴⁶

ამდენად, წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი მსჯელობის შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის არსებული ორივე თეორია ხასიათდება ისეთი სირთულეებით, რომელთაც შესაძლოა დაბრკოლება შექმნან პრაქტიკაში პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების დასრულების ზუსტი მომენტის განსაზღვრისას.

1.2. პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების გამიჯვნა გარდამავალი მართლმსაჯულების მოქმედებისგან

პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ფარგლების განსაზღვრისას, მისი დაწყებისა და დასრულების მომენტების გარდა, ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე ზღვრის გავლენას ისეთ მომიჯნავე დოქტრინასთან, როგორიცაა გარდამავალი მართლმსაჯულება, რადგან ამ უკანასკნელსა და პოსტ-კონფლიქტურ სამართალს შორის არსებულმა საერთო მახასიათებლებმა პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას მათი აღრევის პრობლემა. ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კი, სასურველია, ჯერ განიმარტოს ტერმინი „გარდამავალი მართლმსაჯულება“, ხოლო შემდეგ გაიმიჯნოს იგი პოსტ-კონფლიქტური სამართლისგან.

გარდამავალი მართლმსაჯულების დოქტრინის წარმოშობის საკითხზე არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება. საერთაშორისო არასამთავრობო

⁴⁴ Global Peace Index, <<https://www.visionofhumanity.org/maps/#/>> [30.07.2024].

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ *Kleffner J. K.*, Towards a Functional Conceptualization of the Temporal Scope of Jus Post Bellum, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 294.

ორგანიზაცია „გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი“ ამ კონცეფციის საწყისებს გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ხედავს და ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე იმ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირებს, რომლებიც ავტორიტარული წყობილების დემოკრატიულით ჩანაცვლებას ახლდა თან.⁴⁷ რუტი ტეიტელის აზრით კი, გარდამავალი მართლმსაჯულების თეორია შესაძლოა დასაბამს იღებდეს უფრო ადრეც, კერძოდ, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან.⁴⁸

„გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრის“ განმარტებით, „გარდამავალი მართლმსაჯულება არის პასუხი ადამიანის უფლებების სისტემატურ ან ფართომასშტაბიან დარღვევებზე. იგი მიისწრაფვის მსხვერპლთა აღიარებისა და მშვიდობის, შერიგებისა და დემოკრატიის შესაძლებლობების ხელშეწყობისაკენ. გარდამავალი მართლმსაჯულება არის არა მართლმსაჯულების განსაკუთრებული ფორმა, არამედ იმ საზოგადოებებისთვის ადაპტირებული მართლმსაჯულება, რომლებიც განიცდიან გარდაქმნას ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი დარღვევების პერიოდის შემდეგ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გარდაქმნები ხდება მოულოდნელად, ზოგიერთში კი ისინი შეიძლება მიმდინარეობდეს მრავალი ათწლეულის განმავლობაში.“⁴⁹ ამასთან, გარდამავალ მართლმსაჯულებას ახასიათებს ექვსი მკაფიოდ გამოხატული კრიტერიუმი: ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; ჩადენილ დარღვევათა შესახებ სიმართლის დამდგენი კომისიების შექმნა; ჩადენილ დარღვევათა შედეგად წარმოშობილი მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად რეპარაციების პროგრამების შემუშავება; ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოფხვრის პროცესზე ქალებისთვის თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა; სამხედრო, საპოლიციო, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების გარდაქმნა რეპრესიული და კორუმპირებული ინსტრუმენტებიდან კეთილსინდისიერ ინსტრუმენტებად; ადამიანის უფლებათა დარღვევების მსხვერპლთა შესახებ საზოგადოების მეხსიერებაში ინფორმაციის შენარჩუნებისა და ამგვარი დარღვევების სამომავლოდ თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი მემორიალების შექმნა.⁵⁰

გარდამავალი მართლმსაჯულება და პოსტ-კონფლიქტური სამართალი შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმით, რომელთაგან პირველი ამ ორი ცნების დეფინიციათა შორის არსებულ განსხვავებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი მართლმსაჯულება ადამიანის

⁴⁷ What is Transitional Justice? , International Center for Transitional Justice, 2009, 1, <<https://www.ictj.org/sites/default/files/ICTJ-Global-Transitional-Justice-2009-English.pdf>> [30.07.2024].

⁴⁸ Teitel R., Transitional Justice Genealogy, Harvard Human Rights Journal, Vol. 16, 2003, 69; Teitel R., Transitional Justice, Oxford, 2000, 3.

⁴⁹ იხ. ციტირება: What is Transitional Justice?, International Center for Transitional Justice, 2009, 1, <<https://www.ictj.org/sites/default/files/ICTJ-Global-Transitional-Justice-2009-English.pdf>> [30.07.2024].

⁵⁰ იქვე.

უფლებების სისტემატურ ან ფართომასშტაბიან დარღვევებზე რეაგირებას ისახავს მიზნად, რაც ასევე არის პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზოგადად პოლიტიკური რეჟიმის გარდაქმნისას და მისი ამოქმედება საერთოდ არ საჭიროებს შეიარაღებული კონფლიქტის არსებობას.⁵¹ იმავეს თქმა კი შეუძლებელია პოსტ-კონფლიქტური სამართლის შესახებ, რომელიც უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტიდან მდგრად მშვიდობაზე გადასვლის მთელი პროცესის მარეგულირებელ ნორმებს აერთიანებს და მის ამოქმედებას წინ აუცილებლად უნდა უძღოდეს შეიარაღებული კონფლიქტი.⁵²

გარდამავალი მართლმსაჯულებისა და პოსტ-კონფლიქტური სამართლის გამმიჯნავი მეორე კრიტერიუმი მათ სამართლებრივ დატვირთვათა შორის არსებულ განსხვავებას გულისხმობს. კერძოდ, მაშინ, როდესაც გარდამავალი მართლმსაჯულება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს ყოველთვის უკავშირებს პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებას, პოსტ-კონფლიქტურს სამართალს აქვს სრულად სამართლებრივი ხასიათი. ეს უკანასკნელი ცალსახად სამართლებრივი კონცეფციაა და პოლიტიკური კონტექსტები კი მისთვის მეორეხარისხოვანია.⁵³

გარდამავალი მართლმსაჯულებისა და პოსტ-კონფლიქტური სამართლის განმასხვავებელი მესამე კრიტერიუმი მათ ინტერესის სფეროებს შორის არსებულ შინაარსობრივ განსხვავებას გულისხმობს. ამ კუთხით, პოსტ-კონფლიქტური სამართლისა და გარდამავალი მართლმსაჯულების თანაფარდობის სამი განსაკუთრებული შემთხვევა შეიძლება გამოიყოს: (1) შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომი პერიოდისთვის აქტუალური საკითხები, რომლებიც არ უკავშირდება რეჟიმის ცვლილებას ან ადამიანის უფლებათა დარღვევებს, წარმოადგენს არა გარდამავალი მართლმსაჯულების, არამედ პოსტ-კონფლიქტური სამართლის საზრუნავს;⁵⁴ (2) მშვიდობიანი, არაძალადობრივი რევოლუციის ან რეჟიმის ცვლილების შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელი საკითხები ექცევა რა გარდამავალი მართლმსაჯულების ინტერესის სფეროში, მათ მიმართ ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს პოსტ-კონფლიქტური სამართალი ანალოგიის წესით და არა - პირდაპირ;⁵⁵ (3) გარდამავალი მართლმსაჯულების ნაცვლად, პოსტ-კონფლიქტური სამართალი მოიცავს იმგვარ ვითარებებს, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის გზით შეცვლილი ყოფილი რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევები არ ყოფილა ჩადენილი, შეიარაღებული კონფლიქტი ადამიანის უფლებათა მასშტაბური დარღვევების გარეშე წარიმართა, ან შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში რეჟიმი არ შეცვლილა.⁵⁶

⁵¹ *Iverson J.*, Contrasting the Normative and Historical Foundations of Transitional Justice and Jus post Bellum: Outlining the Matrix of Definitions in Comparative Perspective, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 85.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე, 86.

⁵⁴ იქვე, 88.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე.

თავი 2. რა გავლენა აქვს წინმსწრები შეიარაღებული კონფლიქტის სახეს პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების ფარგლებზე?

2.1. პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთნაირად მოქმედების შესაძლებლობა საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ

პოსტ-კონფლიქტური სამართლის მკვლევარი კრისტენ ბუნი აღნიშნავს, რომ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა თეორია, რომლის თანახმადაც, თანდათან მცირდება ზღვარი საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის,⁵⁷ რაც მომავალში, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ორივე სახის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ ერთნაირად მოქმედი პოსტ-კონფლიქტური სამართლის მიდგომებისა და სტანდარტების ჩამოყალიბებას.⁵⁸ აღნიშნული თეორიის საფუძვლებში უკეთ გაასარკვევად, მიზანშეწონილია, იმ ძირითადი ასპექტების მოკლედ განხილვა, რომლებიც ხელს უწყობს საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის არსებული ზღვრის მინიმიზაციას.

საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის არსებულ ზღვარს, უპირველეს ყოვლისა, ამცირებს თავად ჟენევის 1949 წლის კონვენციების „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“⁵⁹ და „არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“⁶⁰ დამატებითი ოქმების სამოქმედო არეალები.⁶¹ კერძოდ, „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული ოქმი, *inter alia*, ვრცელდება ისეთ შიდასახელმწიფოებრივად აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა ხალხთა ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა მხრიდან ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.⁶² რაც შეეხება „არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ დამატებით ოქმს, იგი უშუალოდ ეხება

⁵⁷ Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 262.

⁵⁸ იქვე, 265.

⁵⁹ Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts, 8 June 1977.

⁶⁰ Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, 8 June 1977.

⁶¹ Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 262.

⁶² იქვე; ასევე, იხ.: Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts, 8 June 1977, Article 1(4).

არასაერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივ, შეიარაღებულ კონფლიქტებს.⁶³ ამდენად, ხსენებული დამატებითი ოქმების მეშვეობით შიდასახელმწიფოებრივად საინტერესო საკითხები საერთაშორისო შეთანხმების საგანი გახდა როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში და ძირეული საერთო გაჩნდა შეიარაღებული კონფლიქტის სახეებს შორის.⁶⁴

საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის არსებულ ზღვარს ასევე ასუსტებს საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ ერთნაირი პასუხისმგებლობის განსაზღვრა ომის დანაშაულების ჩამდენთათვის მიუხედავად იმისა, თუ რომელი სახის შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩაიდინეს მათ აღნიშნული დანაშაულები.⁶⁵ ჯერ კიდევ ICTY-მ და ICTR-მა აჩვენა, რომ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პირის გასამართლება შესაძლებელია არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისათვის.⁶⁶ ამგვარი მიდგომა კი შემდგომში გაზიარებულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მიერაც, რომლის მე-8 მუხლიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ომის დანაშაულების ჩამდენთათვის.⁶⁷

საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს აახლოვებს ორივე მათგანის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ერთნაირად გამოყენებაც.⁶⁸ თუმცა, გარკვეულ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს თავად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების განსაზღვრა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განმარტებით, საერთაშორისო სამართლის ამ ორ დარგს აქვს როგორც თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი, ისე საერთო ინტერესის სფეროები. მაგალითად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საბრძოლო მოქმედებების წარმოება, კომბატანტისა და სამხედრო ტყვის სტატუსი და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემების დაცვა, ხოლო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სხვა ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან ერთად ასევე ინტერესდება ისეთებითაც, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტთან შეიძლება

⁶³ Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 263; ასევე, იხ.: Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, 8 June 1977, Article 1(1).

⁶⁴ Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 263.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იქვე; ასევე, იხ.: Schaack B., Slye R. C., *International Criminal Law and Its Enforcement: Cases and Materials* 2nd ed., St. Paul, 2012, 215-216.

⁶⁷ The Statute of the International Criminal Court, Rome, 17 July 1998, Article 8(c), (e).

⁶⁸ Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, *Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations*, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 263.

სულაც არ იყოს კავშირში, კერძოდ, გამოხატვის თავისუფლებით, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებით, არჩევნებში მონაწილეობის უფლებით და ა. შ.⁶⁹ მეორე მხრივ, ორივე მათგანის მიზანია სიცოცხლის დაცვა, წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა, სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას გადაცემული პირებისთვის ძირითადი უფლებების დადგენა, ქალთა და ბავშვთა დაცვა, საკვებისა და ჯანდაცვის უფლებების ასპექტების დარეგულირება.⁷⁰ ამგვარი ურთიერთგადაკვეთის შედეგად, მოსალოდნელია, პრაქტიკაში წარმოიშვას კოლიზია, თუ რომელ დარგს უნდა მიენიჭოს უპირატესობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ცალკეული უფლების დაცვასთან დაკავშირებით. ეს პრობლემური საკითხი განხილულია სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმის მიერ. ICJ-მ ამ საკითხზე სამი პრეცედენტის ფარგლებში იმსჯელა: „ბირთვული იარაღების გამოყენების ან მათი გამოყენების მუქარის კანონიერების შესახებ“ 1996 წლის 8 ივლისის საკონსულტაციო დასკვნაში განიმარტა, რომ კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს;⁷¹ „ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ“ 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნაში აღინიშნა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს აუცილებელია ორივე დარგის, როგორც *lex specialis*, მხედველობაში მიღება;⁷² ხოლო საქმეში „სამხედრო მოქმედებები კონგოს ტერიტორიაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ)“ განისაზღვრა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ, საკუთარი ტერიტორიის მიღმა გავრცელებული იურისდიქციის, განსაკუთრებით, მის მიერ განხორციელებული სამხედრო ოკუპაციის, ფარგლებში ჩადენილ მოქმედებებზე.⁷³ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა კომისიამ საქმეში „კორდი და სხვები შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ დარგთაშორისი კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს მიანიჭა,⁷⁴ ხოლო საქმეებში „ხუან კარლოს აბელა არგენტინის წინააღმდეგ“ და „ბამაკა ველასკესი გვატემალას წინააღმდეგ“ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მიმართ გავრცელების მსგავსად ვრცელდება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტზეც.⁷⁵ და ბოლოს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში

⁶⁹ International Humanitarian Law and International Human Rights Law (Similarities and Differences), Advisory Service on International Humanitarian Law, International Committee of the Red Cross, Geneva, 2021, 1.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, [1996] Advisory Opinion, ICJ, §25.

⁷² Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, [2004] Advisory Opinion, ICJ, §106.

⁷³ Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), [2005] ICJ, §216.

⁷⁴ Coard et al. v. United States, [1999] Inter-American Commission on Human Rights, §42.

⁷⁵ Juan Carlos Abella v. Argentina, [1997] Inter-American Commission on Human Rights, §160; Bamaca Velásquez v. Guatemala, [2000] Inter-American Commission on Human Rights, §207.

„პასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება ჟენევის 1949 წლის კონვენციების კონტექსტში განიხილა.⁷⁶ აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნას, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა სახის შეიარაღებულ კონფლიქტში მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა. იგი ერთნაირად ახდენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის „ჰუმანიზებას“ საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში.⁷⁷ ამგვარი ურთიერთმიმართება კი ხელს უწყობს პოსტ-კონფლიქტურ ერაში ისეთი მიდგომების დამკვიდრებას, რომლებიც თანაბრად იქნება გამოყენებული როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების ფარგლებში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევათა გამოსავლენად და შესაბამისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

ბოლოს, საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების კიდეც ერთი საერთო მახასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ორივე სახის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში თანაბრად გამოჩენილი აქტიური ჩართულობა პოსტ-კონფლიქტური სამართლის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაციის პროცესში.⁷⁸

ამდენად, წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი მსჯელობის შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ განხილული ოთხი ფაქტორი ისეთ სიახლოვეს ქმნის საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის, რომ შესაძლებელია გაზიარებულ იქნას *კრისტენ ბუნის* თეორია მომავალში ორივე სახის შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ პოსტ-კონფლიქტური სამართლის ძირითადი პრინციპების მეტწილად ერთნაირად გამოყენების თაობაზე.

2.2. პოსტ-კონფლიქტურ სამართლის მოქმედება სამხედრო ოკუპაციის დასრულების შემდგომ

„ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ოკუპაცია ვადიანი მოვლენაა და საომარი მოქმედებების დასრულებიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში

⁷⁶ Hassan v. the United Kingdom, [2014] ECHR, §104.

⁷⁷ Meron T., The Humanization of Humanitarian Law, American Journal of International Law, Vol. 94, 2000, 239; Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 264.

⁷⁸ Lauterpacht H., Lauterpacht E., International Law: Being the Collected Papers of Hersch Lauterpacht, Cambridge, 1970, 136; Boon K. E., The Application of Jus Post Bellum in Non-International Armed Conflicts, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.), Oxford, 2014, 264.

შეიძლება გაგრძელდეს.⁷⁹ ამავე კონვენციის 29-ე და 47-ე-135-ე მუხლები⁸⁰ და ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლი⁸¹ ადგენს, რომ ამ დროს სწორედ ოკუპანტი მხარეა პასუხისმგებელი როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისე მის მოსახლეობაზე. ოკუპაციის პერიოდში ოკუპანტმა მხარემ უნდა დაიცვას „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციითა და ჰააგის რეგულაციებით ნაკისრი მთელი რიგი ნორმები იმ მოცულობით, რომლითაც იგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ასრულებს ხელისუფლების ფუნქციებს.⁸² ოკუპანტი მხარის უფლება-მოვალეობების შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მას არ შეუძლია საკუთარი სუვერენიტეტის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელება.⁸³ ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლის თანახმად კი, ოკუპანტი მხარე ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, შეინარჩუნოს და აღადგინოს არსებული საზოგადოებრივი მართლწესრიგი და უსაფრთხოება.⁸⁴ ამასთან, ოკუპანტი მხარეს შეუძლია, ერთი მხრივ, შეაჩეროს ან გააუქმოს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, თუ იგი აფერხებს უსაფრთხოების უზრუნველყოფას ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციას,⁸⁵ ხოლო, მეორე მხრივ, მიიღოს ახალი სამართლებრივი აქტები, თუ ეს განპირობებული იქნება სამხედრო აუცილებლობით ან საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის ვალდებულებით.⁸⁶ სწორედ ამ ორი უკანასკნელი მიზეზით შეუძლია მას ასევე შექმნას ახალი ადმინისტრაციული ორგანოები.⁸⁷

ოკუპაციის დასრულების შემდგომ, „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციით გათვალისწინებული მიდგომის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკურმა, სოციალურმა, პოლიტიკურმა და სხვა სისტემებმა ოკუპანტი მხარისგან ჩაურევლად უნდა განაგრძოს ფუნქციონირება.⁸⁸ თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ამგვარი ხედვის სისრულეში

⁷⁹ The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 6.

⁸⁰ იქვე, Articles 29, 47-135.

⁸¹ The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 43.

⁸² Ronen Y., Post-Occupation Law, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 429.

⁸³ Gasser H. P., Dörmann K., Protection of the Civilian Population, The Handbook of International Humanitarian Law, *Fleck D. (ed.)*, 3rd ed., Oxford, 2013, 274.

⁸⁴ The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907, Article 43.

⁸⁵ იქვე, Article 43; The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 64.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949, Article 64(2).

⁸⁸ Ronen Y., Post-Occupation Law, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 429.

მოყვანა ბევრ გამოწვევასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უფლებების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილი პასუხისმგებლობის მოთხოვნამ *laissez-faire* დოქტრინა⁸⁹ ჩაანაცვლა, რთული გახდა ოკუპანტის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა სისტემების მიტოვება გარკვეული ვალდებულებების შენარჩუნების გარეშე.⁹⁰ შედეგად კი, თავის მხრივ, ყოფილი ოკუპირებული ტერიტორია კვლავ დამოკიდებული რჩება ყოფილ ოკუპანტ მხარეზე ოკუპაციის დასრულების შემდგომაც.⁹¹ როგორც *იაელ რონენი* აღნიშნავს, ასეთ ტიპის პოსტ-ოკუპაციური დამოკიდებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით: (1) ოკუპაციის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა შეიძლება დაეყრდნოს ოკუპანტი ძალის მიერ უზრუნველყოფილ ისეთ სერვისებსა და ინფრასტრუქტურას, რომლებიც მიმართული იქნება დასაქმების, განათლებისა და ხარისხიანი ჯანდაცვის ხელშეწყობისკენ. ასეთ სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე დამოკიდებულებას განსაკუთრებით ზრდის ის, რომ მათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ გააჩნია ალტერნატივა; (2) ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა ოკუპანტ მხარეზე დამოკიდებულია ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების ნაწილშიც, ვინაიდან ამ რესურსების შეწყვეტა პირდაპირ აისახება საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობაზე; (3) ასევე, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ერთად თავად მისი ეკონომიკაც კი იყოს ოკუპანტ მხარეზე დამოკიდებული, თუკი ადგილობრივი ეკონომიკა ოკუპანტი მხარის მონეტარული პოლიტიკის უშუალო გავლენის ქვეშაა მოქცეული; (4) ბოლოს, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისთვის საარსებო წყაროს შეწყვეტასა და საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან შეიძლება ასოცირდებოდეს ოკუპანტ მხარესთან დაკავშირებული კომერციული კავშირების გაწყვეტაც.⁹²

პოსტ-კონფლიქტური სამართალი ოკუპაციის დასრულების შემდგომ მიზნად ისახავს ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის დაცვას იმ ზიანისგან, რომელიც შესაძლოა მას მიაღდეს ყოფილ ოკუპანტ მხარესთან კავშირების უეცარი გაწყვეტით. მეტიც, ამ დროს პოსტ-კონფლიქტური სამართალი ორიენტირებული უნდა იყოს არა ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების გამყარებაზე, არამედ ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის თვითკმარობაზე გადასვლის ხელშეწყობაზე.⁹³

ამ პროცესში მონაწილე მრავალ აქტორთა შორის განსაკუთრებული როლი ეკისრება ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის მომავალ ხელისუფლებას, რომელმაც უნდა აიღოს ამ ტერიტორიის მოსახლეობის იმ რესურსებით უზრუნველყოფის

⁸⁹ *Laissez-faire* – სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ საქმეებში ჩაურევლობა. იხილეთ: *Laissez-faire, Britannica*, <<https://www.britannica.com/money/laissez-faire>> [30.07.2024].

⁹⁰ *Ronen Y.*, Post-Occupation Law, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Oxford, 2014, 429.

⁹¹ იქვე, 429-431.

⁹² იქვე, 431.

⁹³ იქვე.

ვალდებულება, რომლებსაც მანამდე ოკუპანტი მხარე აწვდიდა. თუმცა, ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის ახალი ხელისუფლებისთვის დაბრკოლების შემქმნელად მოგვევლინება ყოფილი ოკუპანტი მხარე, თუ მის ინტერესებში იქნება გარდამავალი პროცესის გახანგრძლივება და ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის მისი ზეგავლენისგან გათავისუფლების შეფერხება.⁹⁴

ყოფილ ოკუპანტ მხარეზე დამოკიდებულების დაძლევაში ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიისთვის დახმარების გაწევის კუთხით განსაკუთრებულ როლს ასრულებს საერთაშორისო საზოგადოებაც. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ინდონეზიის, როგორც ოკუპანტი მხარის, მიერ ტიმორ ლესტეს ერთიანად და მყისიერად დატოვება. მიუხედავად იმისა, რომ ტიმორ ლესტეს მოსახლეობა სრულად იყო დამოკიდებული ინდონეზიის მხარისგან მიწოდებულ სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სექტორში, ამ რესურსების ინდონეზიის მიერ უკან გახმოვით არსებითი ზიანი არ მიაღწა ტიმორ ლესტეს, ვინაიდან ქვეყანას სასიცოცხლო მნიშვნელობის დახმარება საერთაშორისო საზოგადოებამ გაუწია.⁹⁵

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ წინამდებარე სტატიის მიერ დასახული მიზნის მიღწევის გზა გადის შემდეგ კითხვებზე: შესაძლებელია თუ არა პოსტ-კონფლიქტური სამართლის ამოქმედებისა და მოქმედების დასრულების ზუსტი დროის განსაზღვრა? როგორ იმიჯნება ერთმანეთისგან გარდამავალი მართლმსაჯულება და პოსტ-კონფლიქტური სამართალი? რამდენად მისაღებია პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთი და იმავე სამოქმედო ჩარჩოს გამოყენება საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ? რა ძირითადი პრობლემის წინაშე დგება პოსტ-კონფლიქტური სამართალი სამხედრო ოკუპაციის დასრულებისას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კი სიმარტივეს არ წარმოადგენს და მათ დანახვას პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთიან პრიზმაში საჭიროებს.

სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტისა და სასამართლო გადაწყვეტილების შეჯერებით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

1. პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების შეწყვეტისთანავე იწყება, რაც განსხვავებული გზებით მიიღწევა, სამხედრო ოკუპაციის გარეშე წარმართული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის, მისი თანხლებით წარმართული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. სამხედრო ოკუპაციის გარეშე წარმართული

⁹⁴ იქვე, 432.

⁹⁵ იქვე, 433.

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტა და პოსტ-კონფლიქტური სამართლით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩანაცვლება პრაქტიკაში ხორციელდება ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა საზავო, სამშვიდობო ან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმება, ან კაპიტულაციის გამოცხადება. სამხედრო ოკუპაციის თანმხლები საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი დასრულდება და პოსტ-კონფლიქტური სამართალი ამოქმედდება, როდესაც ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცემა ის უფლებამოსილება, რომელიც ითვალისწინებს სუვერენიტეტის სრულ და თავისუფალ განხორციელებას მაშინაც კი, თუ უცხოური ჯარები კვლავაც იარსებებს ყოფილ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით. და ბოლოს, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დასრულება და პოსტ-კონფლიქტური სამართლის ამოქმედება სახეზე იქნება, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის ინტენსიურობისა და მხარეთა ორგანიზებულობის კრიტერიუმები აღარ იარსებებს.

2. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ორგვარ მიდგომას პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების დასრულების მომენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. პირველი მიდგომის თანახმად, პოსტ-კონფლიქტური სამართალი მოქმედებას ასრულებს მაშინ, როდესაც ის მიაღწევს თავისი ძირითადი პრინციპების მიერ დასახულ საერთო მიზანს – მშვიდობის დამყარებას. რაც შეეხება მეორე მიდგომას, მის თანახმად, პოსტ-კონფლიქტური სამართალი მოქმედებას ასრულებს მაშინ, როდესაც მისი თითოეული ძირითადი პრინციპის მიერ ინდივიდუალურად დასახული მიზანი შესრულდება.

3. პოსტ-კონფლიქტური სამართლის მოქმედების დაწყებისა და დასრულების მომენტების გარდა, მისი ფარგლების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ზღვრის გავლებას ისეთ მომიჯნავე სფეროსთან, როგორიცაა გარდამავალი მართლმსაჯულება, რადგან ამ უკანასკნელისა და პოსტ-კონფლიქტური სამართლის ცნებები იმდენად ახლოს არის ერთმანეთთან, რომ პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას მათი აღრევის პრობლემა. რეალურად, პოსტ-კონფლიქტური სამართალი და გარდამავალი მართლმსაჯულება შეიძლება გაიმიჯნოს მათი ცნებების, სამართლებრივი დატვირთვებისა და ინტერესის სფეროების მიხედვით.

4. სამხედრო ოკუპაციის გარეშე წარმართული შეიარაღებული კონფლიქტისა და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ ამოქმედებული პოსტ-კონფლიქტური სამართლის ძირითადი მახასიათებლების შესახებ აღსანიშნავია, რომ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა თეორია, რომლის თანახმადაც, თანდათან მცირდება ზღვარი საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის, რაც მომავალში, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ორივე სახის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ ერთნაირად გამოსაყენებელი პოსტ-კონფლიქტური სამართლის ერთიანი ჩარჩოს ჩამოყალიბებას.

5. სამხედრო ოკუპაციის დასრულების შემდგომ ამოქმედებული პოსტ-კონფლიქტური სამართალი კი ძირითადად ისეთ პრობლემას ხვდება, როგორიცაა

ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის კვლავაც დამოკიდებულება ყოფილ ოკუპანტ მხარეზე, რაც შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით. ამ დროს პოსტ-კონფლიქტურმა სამართალმა მიზნად უნდა დაისახოს ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის დაცვა იმ ზიანისგან, რომელიც შესაძლოა მას მიაღწეს ყოფილ ოკუპანტ მხარესთან კავშირების უეცარი გაწყვეტით. მეტიც, ამ დროს პოსტ-კონფლიქტური სამართალი ორიენტირებული უნდა იყოს არა ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების გამყარებაზე, არამედ ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის თვითკმარობაზე გადასვლის ხელშეწყობაზე.

ბიბლიოგრაფია

1. The Statute of the International Criminal Court, Rome, 17 July 1998.
2. Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts, 8 June 1977.
3. Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, 8 June 1977.
4. The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Geneva, 12 August 1949.
5. The Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded, Sick, and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, Geneva, 12 August 1949.
6. The Convention Relative to the Treatment of Prisoners of War, Geneva, 12 August 1949.
7. The Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949.
8. The Annex to the Convention IV respecting the Laws and Customs of War on Land: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, the Hague, 18 October 1907.
9. *Fleck D. (ed.)*, The Handbook of International Humanitarian Law, 3rd ed., Oxford, 2013.
10. *Lauterpacht H., Lauterpacht E.*, International Law: Being the Collected Papers of Hersch Lauterpacht, Cambridge, 1970.
11. *Meron T.*, The Humanization of Humanitarian Law, American Journal of International Law, Vol. 94, 2000.
12. *Schaack B., Slye R. C.*, International Criminal Law and Its Enforcement: Cases and Materials 2nd ed., St. Paul, 2012.
13. *Stahn C., Easterday J. S., Iverson J. (eds.)*, Jus Post Bellum: Mapping the Normative Foundations, Oxford, 2014.
14. *Teitel R.*, Transitional Justice, Oxford, 2000.
15. *Teitel R.*, Transitional Justice Genealogy, Harvard Human Rights Journal, Vol. 16, 2003.
16. *Verri P.*, Dictionary of the International Law of Armed Conflict, Geneva, 1992.

17. Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), [2005] ICJ.
18. Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, [2004] Advisory Opinion, ICJ.
19. Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, [1996] Advisory Opinion, ICJ.
20. The Prosecutor v. Ljube Boškoski and Johan Tarčulovski, [2008] Judgement of Trial Chamber, ICTY (IT-04-82-T).
21. The Prosecutor v. Fatmir Limaj, Haradin Bala, Isak Musliu, [2005] Judgement of Trial Chamber II, ICTY (IT-03-66-T).
22. The Prosecutor v. Fatmir Limaj, Haradin Bala, Isak Musliu, [2005] Judgement of Trial Chamber II, ICTY (IT-03-66-T).
23. The Prosecutor v. Dusko Tadic, [1997] Judgement of Trial Chamber, ICTY (IT-94-1-T).
24. The Prosecutor v. Dusko Tadic, [1995] Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, ICTY (IT-94-1-A).
25. Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, [1998] ICTR (ICTR-96-4-T).
26. Hassan v. the United Kingdom, [2014] ECHR.
27. Bamaca Velásquez v. Guatemala, [2000] Inter-American Commission on Human Rights.
28. Coard et al. v. United States, [1999] Inter-American Commission on Human Rights.
29. Juan Carlos Abella v. Argentina, [1997] Inter-American Commission on Human Rights.
30. International Humanitarian Law and International Human Rights Law (Similarities and Differences), Advisory Service on International Humanitarian Law, International Committee of the Red Cross, Geneva, 2021
31. United Nations Secretary-General, The Rule of Law and Transitional Justice in Conflict and Post-Conflict Societies: Report of the Secretary-General, UN Doc. S/2004/616, 23.08.2004.
32. <<https://www.icrc.org/en/article/occupation-international-humanitarian-law-questions>>.
33. <<http://hdr.undp.org/en/statistics/hdi/>>.
34. <http://www.eiu.com/public/topical_report.aspx?campaignid=DemocracyIndex12>.
35. <<http://www.humansecurityindex.org/>>.
36. <<https://www.economicsandpeace.org/about/>>.
37. <<https://www.visionofhumanity.org/maps/#/>>.
38. <<https://www.ictj.org/sites/default/files/ICTJ-Global-Transitional-Justice-2009-English.pdf>>.